ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-69. 6922320001**

თარიღი:**16/11/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 76-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დაიწყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გადაეცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს.

მუხლი 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ -დასკვნის, ხოლო საკრებულოს სხვა კომისიებმა, ფრაქციებმა, საკრებულოს წევრებმა და საკითხით დაინტერესებულმა სხვა პირებმა და ორგანიზაციებმა - წინადადებების, შენიშვნებისა და შეფასებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა საკრებულოს აპარატში უზრუნველყონ, არაუგვიანეს, მიმდინარე წლის 25 ნოემბრის დღის 12:00 საათისა.

მუხლი 4. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნება.

მუხლი 5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყოს, მიმდინარე წლის 24 ნოემბერს 12 საათზე, ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე (მისამართი დ. ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15).

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი